#1: ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავება ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ეტაპობრივ დაახლოვებას. ეტაპობრივი დაახლოვების იმპლემენტაციის მიზნით შემუშავდება ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

პერიოდი: 2015 წელი

პროგრესი:
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მოთხოვნით მოხდა SIGMA-ს (ევროკავშირისა და OECD ერთობლივი ინიციატივა) ტექნიკური დახმარების ინიცირება, რომელიც ითვალისწინებდა, პირველ ეტაპზე, საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზს ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან. ამ საკანონმდებლო ანალიზის საფუძველზე სააგენტომ 2015 წლიდან სახელმწიფო შესყიდვების კანონქვემდებარე აქტში განახორციელა ცვლილებები, კერძოდ:

- მიღებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული „**სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესი**“ .
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „**გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი**“-ში შეტანილ იქნა ცვლილებები.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცდა „**კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები**“. კონკურსი სახელმწიფო შესყიდვების მნიშვნელოვან სეგმენტს მოიცავს და იგი სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიული საშუალებაა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, შეისყიდოს საპროექტო მომსახურება, მათ შორის, დიზაინერული, დაგეგმარების, ხარჯთაღრიცხვის, არქიტექტურული, საინჟინრო გეგმები ან პროექტები. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ახალი წესი და პირობები ამოქმედდა 2015 წლის 1 ივლისიდან.

აღნიშნული ტექნიკური დახმარების მეორე ეტაპს წარმოადგენდა ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავების მხარდაჭერა. SIDA-ს და UNDP-ს ფინანსური დახმარებით

შეირჩა მაღალი კვალიფიკაციის საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში, ორკვირიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად, ადგილზე გაეცნო სახელმწიფო შესყიდვების ქართულ კანონმდებლობას, ელექტრონული სისტემის eProcurement მუშაობის სპეციფიკას, სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციონირებას და მათ უფლება-მოვალეობებს. ექსპერტის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია გადამუშავდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ექსპერტების მიერ. სამოქმედო გეგმის გადამუშავებული ვარიანტი გადაეგზავნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს; ასევე, მიმდინარე წლის 25 ნოემბერს, განსახილველად წარედგინა საქართველოს პარლამენტს, ხოლო 26 ნოემბერს მთავრობის ადმინისტრაციას, ეკონომიკურ საბჭოს და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებს.

#2: შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო შესყიდვების გარემოს გაჯანსაღების, აგრეთვე 4420 შემსყიდველ ორგანიზაციაში საჯარო შესყიდვების კვალიფიციური სპეციალისტების გაზრდის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი თანამშრომლებისათვის სპეციალიზებული ტრეინინგების ციკლის ჩატარება. სააგენტომ 2014 წლის 15 ოქტომბერს გახსნა სასწავლო ცენტრი. პირველ ეტაპზე, 2014 წლის განმავლობაში, სააგენტოში გადამზადდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 90 მეტი წარმომადგენელი. 2015 წელს, სააგეტო გეგმავს სასწავლო ცენტრის ბენეფიციართა წრის გაფართოებას, როგორც ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების, ასევე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთათვის და სხვა სამართლებრივი ფორმის მქონე შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის.

პერიოდი: 2015 წელი

პროგრესი: 2015 წლის განმავლობაში, შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი თანამშრომლების (მ.შ. სატენდერო კომისიების წევრების და აპარატის) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში სახელმწიფო დაწესებულებების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს ჩაუტარდა „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“. უნივერსალურობიდან გამომდინარე, სასწავლო კურსი განკუთვნილია მათთვის, ვინც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციაში და სურს აიმაღლოს კვალიფიკაცია. 2015 წელს

სასწავლო ცენტრში გადამზადდა 616 მსმენელი. აქედან 484 არის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათთან არსებული სსიპ-ების, ააიპ-ების და შპს-ების წარმომადგენელი; 38 - მიმწოდებელი კომპანიების - საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენელი; ასევე, 94 საჯარო მოსამსახურე, რომელთაც ჩაუტარდათ 2-დღიანი სპეციალიზებული ტრენინგ-სემინარი.

2015 წლის 29-30 მაისს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, სსიპ ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის ხელშეწყობით, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით, ჩატარდა ერთობლივი ტრენინგ-სემინარი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებზე, სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების ადმინისტრაციების შესყიდვების კუთხით მომუშავე 16 სპეციალისტისთვის.

2015 წლის 26-27 სექტემბერს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრთან და UNDP-ის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტთან ერთად, ჩატარდა ერთობლივი ტრენინგ-სემინარი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აუდიტისა და შესყიდვების კუთხით მომუშავე 27 სპეციალისტისთვის.

2015 წლის 24-25 ოქტომბერს, გუდაურში, ქ.თბილისის მერიასა და ქ.თბილისის გამგეობებში დასაქმებული შესყიდვების 60 სპეციალისტს ჩაუტარდათ სემინარი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებზე. აღნიშნული სემინარის ორგანიზება მოხდა ქ.თბილისის მერიის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ.

#3: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში, ევროკავშირის წევრი და სხვა მოწინავე ქვეყნების კანონმდებლობის საუკეთესო პრაქტიკასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით, სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკის გაცნობა და გამოცდილების გაზიარება სასწავლო ვიზიტების გზით. ასევე მონიტორინგის განხორციელების და ელექტრონული სერვისების

შემდგომი განვითარების კუთხით, სააგენტოს თანამშრომლებისათვის სასწავლო კურსების და გაცნობითი ხასიათის ვიზიტების ორგანიზება, ასევე საერთაშორისო სემინარებში და კონფერენციებში მონაწილეობის მიღება.

პერიოდი: 2015 წელი

პროგრესი:

- 2015 წლის ივლისში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს IT დეპარტემენტის სისტემურმა ადმინისტრატორმა გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. კერძოდ, კომპანია HTS-ის მიერ ჩატარებული ტრეინიგი veeam backup-ის შესახებ და კომპანია Symantec-ის კურსი თემაზე "Symantec Backup Exec" .

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელობამ და 15-მდე თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღეს **საჯარო შესყიდვების სფეროში მე-11 საერთაშორისო, ცოდნის გაზიარების ყოველწლიურ ფორუმში** (ppkef2015.spa.ge), ქ. ბათუმში. ფორუმს, სააგენტოსთან ერთად ორგანიზება გაუწია შემდეგმა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუციებმა: მსოფლიო ბანკი (The World Bank), აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ისლამური განვითარების ბანკი (IsDB), ასევე ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და SIGMA.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერმა, მიმდინარე წლის მარტში გაიარა სასწავლო კურსი თემაზე: „ფასილიტაციის ტექნიკები და საშუალებები" და „სწავლება (ქოუჩინგი), როგორც საშუალება მენეჯერებისთვის და ტრენერებისთვის". აღნიშნული სასწავლო კურსი ჩატარდა ფინეთის საჯარო მმართველობის ინსტიტუტის HAUS და ესტონეთის უსაფრთხოების მეცნიერებების აკადემიის საჯარო სერვისის განვითარების და ტრეინინგების ცენტრის მხარდაჭერით, ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების EU Twinning პროექტის ფარგლებში "უნარ-ჩვევების გაძლიერება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიისთვის".

- მიმდინარე წლის ოქტომბერში, ქ.ანკარაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის მოადგილე, ტრეინინგ ცენტრის დირექტორი, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა თურქეთის შესყიდვების სააგენტოში (Turkish KIK - Public Procurement Authority). აღნიშნული სასწავლო ტურის მიზანი იყო თურქეთის შესყიდვების სისტემის გაცნობა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ვიზიტის ორგანიზება მოხდა TIKA-ს კომპლექსური მხარდაჭერით.

- 2015 წლის 5-6 ოქტომბერს, აზიის განვითარების ბანკის (ADB) ორგანიზებით, ქ. მანილაში გაიმართა აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების საჯარო ელექტრონული შესყიდვების ქსელის დაფუძნების კონფერენცია. კონფერენციის მიზანი იყო, ელექტრონულ შესყიდვებში, მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და ელექტრონული შესყიდვების სისტემის გაფართოება აზიის განვითარების ბანკის წევრ ქვეყნებს შორის. კონფერენციას ესწრებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი. ასევე მანილაში, უკვე მსოფლიო ბანკის ორგანიზებით, აპრილის თვეში გაიმართა საჯარო შესყიდვებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფორუმი, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღო და საგანგებო პრეზენტაციით წარსდგა თავმჯდომარის მოადგილე.

- წლის განმავლობაში სააგენტოს ხელმძღვანელობამ მიიღო აქტიური მონაწილეობა რამოდენიმე სიმპოზიუმში და ტრენინგ-სემინარში, რომლებიც ორგანიზებული იყო WTO GPA მიერ.

- მიმდინარე წლის დეკემბერში ავსტრიაში, ქ.ვენაში, მსოფლიო ბანკის ორგანიზებით, გაიმართა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებისათვის საერთაშორისო ფორუმი „Electronic Procurement“, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს და საგანგებო პრეზენტაციით წარსდგენ თავმჯდომარის მოადგილე და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი.

- მიმდიანრე წლის დეკემბერში, გერმანიაში, ქ.დუსელდორფში, სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მაოდგილე, სარეთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი და ექსპერტ-ანალიტიკოსი. სამუშაო ვიზიტის მიზანი იყო გერმანიის შესყიდვების სისტემის კომპლექსური გაცნობა, მეთოდურ-პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, ასევე ევროკავშირის ახალი დირექტივების მოთხოვნების შესწავლა. აღნიშნული ვიზიტის ორგანიზება მოხდა GIZ-ის ორგანიზებით, პროექტის „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში.

#4: მიმწოდებელი ბიზნეს-ორგანიზაციებისათვის საინფორმაციო კამპანიის წარმოება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; მსოფლიო ბანკი

შესრულების მაჩვენებელი: ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების და დასაქმების ხელშესაწყობად, სახელმწიფო შესყიდვების გარემოს გაჯანსაღების, ბიზნეს-სექტორის მეტი ჩართულობის, კონკურენციის განვითარების მიზნით, აგრეთვე თითქმის 23,000

მიმწოდებელ ორგანიზაციაში ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად საინფორმაციო-პროპაგანდისტური კამპანიის, აგრეთვე, მრგვალი მაგიდების და სხვა ტიპის შეხვედრების (მ.შ. გასვლითი რეგიონული) ციკლის ჩატარება.

პერიოდი: 2015 წელი

პროგრესი:
მიმდინარე წლის 4 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, ბიზნეს-ორგანიზაციების 38 წარმომადგენელს ჩაუტარა ორ კვირიანი სპეციალიზებული სასწავლო კურსი სააგენტოს სასწავლო ცენტრის ბაზაზე თბილისში.

26 ივნისს, ქ. ქუთაისში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში" და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით, გაიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ერთობლივი საინფორმაციო შეხვედრა, იმერეთის რეგიონში მოქმედ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო იმერეთის რეგიონში მოღვაწე ბიზნეს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის პოპულარიზაცია.

10 ივლისს, ქ. ბათუმში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში" და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით გაიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ერთობლივი საინფორმაციო შეხვედრა, აჭარის რეგიონში მოქმედ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო, აჭარის რეგიონში მოღვაწე ბიზნეს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის პოპულარიზაცია. ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული, სამეწარმეო საქმიანობის ხელშემწყობი ინიციატივები, სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.